

სტალინის კერა

ბევრია, ქართლო, შენს ძველ მიწაზე
ნატამრევი და ნასახლარები;
ბევრია კოშკი დულაბდასხმული
და ძველებური სახლი ღარიბი...

მაგრამ ის მიყვარს, ალიზის ქოხი,
ვით სატურფალი შენი ბუნება;
ლიახვის შხაპი, ზვირთი მტკვარისა,
არწივის ბუდეს ეშხაპუნება...

მისი დიდებით ბრწყინავენ მთები,
თითქოს აყრიათ დედის ჭალარა;
აღარ სჩანს დედა თავდახურული...
რამდენი ცრემლი დაღვარა...

მაგრამ ეზოში ჰყვავის ყვავილი,
ეზოს ქვებს ახსოვთ ბავშვის თამაში,
ვინც ამ კერაზე ვაჟკაცდებოდა
გმირადძველ ქართულ იავნანაში.

*

რა ძალა იყო, რომ გამოჰკვეთა,
რა ნაჭედობამ დააფოლადა,
აბმულ დროშიდან ღიმით მზირალი
მილიონ გულის ასათრთოლადა!